კვირა 1919 წ. მარტის 16 № 59
ჟელიწადი მეხუთე

კვირა. 1919 წ. მარტის 16 № 59
ფასი თბილისში კროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

---

თავზარდაცემულნი გიორგი, თევდორე და იოსებ თევდორეს ძენი, თამარ თევდორეს ასული და ნინო ილიას ასული ჟორდანიანი უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის ძმის და მაზლის, თბილისის მეორე საკომერციო სასწავლებლის მე-8 კლასის მოწაფის, სანაპირო რაზმის მოხალისე ჯარისკაცის

**კონსტანტინე (კოსტა) თევდორეს ძის**

## ჟორდანიას

ტრაღიკულად დაღუპვას ს. სადახლოში მარტის 12-ს. ცხედარი სვენია ანჩისხატის ტაძარში, სადაც დღეს, მარტის 16-ს, დილის 10 საათზე გადახდილ იქნება წირვა და 12 საათზე შესრულებული იქნება ანდერძი. დაკრძალვა დღესვე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

1—2210—1

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა მიტრადორა იოსების ასული, ძმა გიორგი სოლომონის ძე, რძალი მართა მიხეილის ასული, დაი მარიამ სოლომონის ასული და ბიძაშვილები ლევან, შალვა და ირაკლი ჯავრიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ახალციხის ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა პოდპორუჩიკი

## პეტრე სოლომონის ძე ჯავრიშვილი.

დაკრძალვა დღეს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში.

1—2224—1

---

დილის 10 საათზე ოთხშაბათს მარტის 19-მეტს ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის სიღნაღის გამომძიებლის

**შალვა სოლომონის ძე**

## კურცხალიას

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ დათუთქულნი მშობლები: სოლომონი და ქრისტინე კურცხალიები, დები: ელიკო და ცეცილია; სიძეები ალექსანდრე იმერლიშვილი და ვახტანგ იანქოშვილი.

2—2212—2

---

ქვრივი—მარიამ გრიგოლის ასული სიმონიშვილისა შვილებითურთ: იოსებით, ბარბარეთი, რომანოზით, ქეთევანეთი, შალვათი, ქსენიათი, ვახტანგით და გიორგით და რძლით — ქეთევანე იდანეს ასული დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 ამა მარტს სიონის ტაძარში გარდახდილ იქნება 40 დღის წირვა და 11 ნახ. საათზე პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარის განსვენებულის—თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკის

**დეკანოზ ალექსანდრე სიმონიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

2—2218—2

---

დღეს, კვირას, მარტის 16-ს, დილის 12 ნახ. საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ილია (ილუშა) დიმიტრის ძე**

## გურამიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი განსვენებულის მამა დიმიტრი სიმონის ძე, მეუღლე მისი სოფიო მაკარის ასული შვილებით, დები და ძმები მისი ოლღა ბებუთოვისა, მარიამ ნანობაშვილისა, შალვა და ალექსანდრე გურამიშვილები.

1—2225—1

---

## თბილისის მაზრის ერობა

**იწვევს სამსახურში აგრონომიულ პერსონალს:**

✦ ორ ოთხის აგრონომს, ორ ინსტრუქტორს ✦

(სპეციალობა ერთისა—მებოსტნეობა-მებაღეობა, 2-სა—საქონლის მოშენება) და ხუთ მანქ ნების საწყობების გამგეს.

ჯამაგირი — აგრონომებს 1.100 მან., ინსტრუქტორებს — 900 მან. და საწყობების გამგეთ — 500 მან. თვეში, დღიურისა და გზის ხარჯის გარდა. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თბილ. მაზრის ერობის აგრონომიულ განყოფილებაში (რუსთაველის ქუჩა, № 6).

გამგეობის წევრი ლ. მამულაშვილი
მაზრის აგრონომი ი. ქურდიანი

3—34—1

---

პუშკინის ფოტოგრაფია

## ს. ა. მიქონიკიძა

(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი)

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდა ნატურალურ სიდიდემდე, ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სეპიით. მშვენივრად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ.

10—2168—7

---

**ედუარდ კლარის** ფოტოგრაფიასთან გახსნილია

## პორტრეტების გამადიდებელი

სტუდია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სიდიდემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, ქართული კლუბის შესავალი.

---

**გამოვიდა სახელმძღვანელო**

## ბუხჰალტერიისა

ს. ტარუაშვილისა.

და იყიდება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში; შეიძლება იქიდანვე ფასდაკლებით გამოწერა არა ნაკლებ 40 ცალისა. თბილისი, სასახლის ქუჩა, ყოფილ. თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

(5—2209—5)

---

კვირას, მარტის 16, საღამოს 5 ს.

**სახეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა)**

დანიშნულია

**ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდების**

## საზოგადო კრება

მთავრი მომხსენებელია იას. ჯავახიშვილი.

---

## [illegible] მდივნ თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ველახიშვილისა**

დღეს, 16 მარტს, წარმოდგენილი იქნება დილით

## პიკოვაია დამა

საღამოთი

## ფაუსტი

---

## ქართული კლუბი

(სასახლის ქ. № 5).

**ორშაბათს, 17 მარტს 1919 წელს გაიმართება სალიტერატურო გასამართლება-დისპუტი — თემა:**

## სომხეთი და საქართველო

**დაწვრილებით აფიშებში.** გამგენი: ვ. ჯიქია და ს. წერეთელი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში საღ. 6—10 საათ.

1—2223—1

---

## ანონსი.

**ქართული კლუბი.**

შაბათს, მარტის 22-ს გაიმართება

## ქართული სტუდიის საღამო

საღამოს დიასახლისი ა. ი. ქავთარაძისა.

დაწვრილებით აფიშებში.

2—2

---

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—9

---

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის

## სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.

---

## ძველი მთავრობის წასვლა

14 მარტის სხდომაზე ძველმა მთავრობამ თავისი მოქმედების ანგარიში ჩააბარა საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გადადგა. ანგარიში შეიცავდა მთავრობის საერთო პოლიტიკის აღნიშვნას და დაფასებას და აგრეთვე კონტროლის მხარესაც. პირველ საგანზე ილაპარაკა მთავრობის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ, მეორე საგანზე—რესპუბლიკის კონტროლიორმა ბ-მა ფ. გოგიჩაიშვილმა. ვრცელი და ამომწურავი გარჩევა როგორც ერთისა, ისე მეორისა, სხვა დროს გვექნება მოყვანილი. დღეს გვინდა ზოგად შენიშვნით დავკმაყოფილდეთ და საერთო შთაბეჭდილება აღვნიშნოთ. არცერთის ორატორულ ხელოვნებაზე ლაპარაკი არ მოგვიხდება. ეს ვერც იქნებოდა, ვინაიდგან, სხვათა შორის, ერთობ საქმიანი და ციფრებიანი მოხსენებები იყო წარმოსადგენი. ამის წყალობით მსმენელი თავისუფალი იყო ენამჭევრობის მომხიბვლელობისაგან და მისი შთაბეჭდილება დამოკიდებული იყო მომხსენებელთა ფაქტიურ მასალის სიუხვე-სინამდვილეზე და მათგან ნახმარ მეთოდსა და ლოღიკის შალაშინზე.

ყოველი პასუხის მგებელი სოციალ-დემოკრატი ყოველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გარემოებით დაძალებული აქტია. სასიქადულო არაფერია, თუ ჩვენი ქვეყნის კოლექტიური პსიხოლოგია აქტიურად არ ეძიებდა ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალებას. ყოველ შემთხვევაში, ქართველ სოციალ-დემოკრატიისთვის ეს იდეურად შეუწყნარებელი კატეგორია იყო და საშინელის სიაფთრითაც ებრძოდა მას.

საქართველოს მთავრობა, ე. ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატია, ინიციატორულ წილს არ იდებს არც იდეოლოგიურად და არც მოქმედებით იმის მოპოების საქმეში, რაც დღეს ქართველთა საყოველთაო განძად არის დასახული და რის დაცვასაც ეწირება ჩვენი ცოცხალი ენერგია და ავლადიდება,—სახელდობრ საქ. დამოუკიდებლობის საქმეში. ამით დაიწყო გუშინ მთავრობის თავმჯდომარემ თავის სიტყვა. ეს პირველი სიმართლეა და ჩვენც ეს პუნქტი არასოდეს არ დაგვავიწყდება. ამგვარად, რაც გვირგვინია საქართველოსი და მისი უკვდავება, თუ ის გარემოებამ დაგვადგა და მოგვანიჭა ძალად, წინააღმდეგ მმართველი პარტიისა ვინაიდან ეს არ შედიოდა სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკასა და მისაღწევ საგანთა სიაში, ამიტომ საქ. დამოუკიდებლობის აღდგენა მის აქტივს ვერ მიეთვლება.

რაც შეეხება საქ. მთავრობის შემდგომ მოღვაწეობას ამ უკვე მისდაუნებურად დამოუკიდებლად აღმდგარ საქართველოში, მთავრობის თავმჯდომარე შეეცადა, ყველაფერი რიგზე ეჩვენებინა; მხოლოდ აქა-იქ მკრთალად აღნიშნავდა დეფექტებს, რომ მეტი ძალა შეემატა მთავრობის პოლიტიკის იმ ელემენტებისთვის, რომელთაც იგი დადებითი ღირებულებას მიაწერდა.

შინაგანი და საგარეო პოლიტიკა მთავრობის თავმჯდომარემ უმაღლესად გაამართლა, წუნი ვერსად უპოვა, მაშინ, როდესაც მთელი სისუსტე ჩვენი ძველის მთავრობისა აქ გამოითქვა. მისი კლასობრივი ლოზუნგები, მისი პირდაპირი და უხეში იდეოლოგიური იერიშები განაპირა კუთხეებში, სადაც სხვა გზა და მეთოდი უნდა ყოფილიყო შეტანილი, რომ საქართველოს მიწა-წყალის შემოკრეფა ნაკლების ხიფათით მომხდარიყო, იყო საქმის ამრევი, და დიდი ზარალიც მოგვიტანა. ბათომის და სოხუმის ოლქების მდგომარეობა, ის, რაც ახალციხეში მოხდა და ხდება, ყველაფერი ეს უმთავრესად ჩვენი მთავრობის ცალხაზიანი, კლასური პოლიტიკის შედეგია. ბორჩალოს მაზრის დღევანდელი ვითარება ხომ ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სრული დამარცხებაა. თუ საქ. მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში არაფერი გაუკეთებია და წილი არ უდევს, საქართველოს განაპირა ტერიტორიების მღელვარებასა და ზოგან ჩამოშორების საქმეში კი სამაგიეროთ დიდი დანაშაული მიუძღვის. და ამის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე ამბობს თავის სიტყვაში, საქართველოში მთავრობის კრიზისი არ ყოფილაო. ამ ფაქტით ცდილობს ღირსება შემატოს მთავრობის პოლიტიკას. ნამდვილად კი კრიზისი იმიტომ არ იყო, რომ საქართველოში პარლამენტული მორალი და რეჟიმი არ ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო კრიზისების ჩამოთვლაც დაღლიდა ჩვენს პრემიერ მინისტრს.

რაც შეეხება ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას, სადაც ციფრებს უნდა ელაპარაკნა, აქ გამოცდილმა თავმჯდომარემაც ვერ მოახერხა მისი შელამაზება. სახელმწიფოს შემოსავალი საბაჟოსა და რკინის გზისგან ყოფილა 96 მილიონი მანეთი, სხვა წყაროებიდან არა შემოსულა-რა. გასავალი 342 მილიონი მან. (რგვალი ციფრებით). დეფიციტია თითქმის მეოთხედი მილიარდი, რაიც ჩვენი ბონებით დაიფარა.

პრემიერმა მთავრობას აქტივში ჩაუწერა ტყიბულის გაფიცვის უმტკივნეულო ლიკვიდაცია და ის, რომ „არა ერთი და ორი განზრახული გაფიცვაც“ ააშორეს ჩვენ ქვეყანას. და ეს ახსნა იმით, რომ მუშა ხალხი და საზოგადოდ ქართველი დემოკრატია ენდობა მთავრობას. პრემიერმა კარგად იცის, თუ რაზეა აგებული ეს „ნდობა“.

ამგვარი ნდობა საშიშია ქვეყნისათვის და მთავრობისათვისაც. როდესაც პროფესიულ კავშირებს დეკრეტით ჩააბარეთ ზურთი და მოედანი, და მუშები თავიანთის ვიწრო ეგოისტურის პსიხოლოგიით გაბატონეთ აღებ-მიცემობასა და ვაჭრობა-მრეწველობაზე, რა თქმა უნდა, მთავრობას მათი „ნდობა“ ექნებოდა; მაგრამ ანგარიშში უფრო ჩასაგდებია ის, რომ ამ მთავრობის და მუშების ურთიერთისადმი ნდობით ჩვენი ქვეყანა ეკონომიური და ფინანსიური კატასტროფის მსხვერპლი ხდება. თუ ოდესმე ჩვენი მთავრობა დაადგება სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს და მეთოდს, მაშინ გამოჩნდება ამ საურთიერთო ნდობის ფასიც. ეგოისტურ ინსტინქტის გაღვიძებით ნდობის მოპოება, სახელმწიფო კაცის ხელობად ვერ ჩაითვლება, რომ მართლაც და ნამდვილი ნდობა ძველს მთავრობას არა ჰქონდა, ეს იქიდან სჩანს, რომ ორმოცდა-ათ მილიონ მანეთის მთავრობის ვექსილი დღესაც გაუსაღებელი აწყვია მის პორტფელში და ფულს სესხად ასეთის ნდობით არავინ აძლევს.

ირკვევა, რომ ჩვენი მთავრობის ცხოვრების ისტორიაში კარგი და დადებითი ისაა, რაც საერთაშორისო მოვლენებს თავიანთის მიმდინარეობის წესით საქართველოსთვის უწილადებიათ; ხოლო ის, რაც ჩვენს მთავრობას უნდა გაეკეთებინა, სავსეა შეცდომებით და უმწიფარის არა სახელმწიფოებრივი ნაბიჯებით. არ იყო თაოსნობა, არ იყო მოვლენათა გათვალისწინება, არ იყო საჭირო ღონისძიებათა დასწრება და დროზედ მიღება. მთავრობის იდეოლოგიაში და მეთოდ-

92

# უკანასკნელი ცნობები

ამ დღეებში თბილისში ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მისსია ჩამოვა.

მთელი გერმანია რევოლიუციის ქარცეცხლმა მოიცვა.

ბერლინში დიდი ბრძოლებია. გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. ქალაქს დამშევა მოელის. რურის რაიონში დიდი გაფიცვებია. მთავრობას ძალა აღ რა აქვს და მხოლოდ დამფუძნებელ კრების უმრავლესობის სურვილებს ასრულებს.

პეტლიურას ჯარში დიდი არეულობა.

ჩეხებმა დაალაგინეს მოხ ლიხეთა არმიის წინააღმდეგ იმოქმედონ.

---

...ში კლასობრივი ბატონობდა სახელმწიფოებრივზე.

მაგრამ ნავი დღემდე მაინც მოაცურეს და დამფუძნებელ კრებას ჩააბარეს. საქართველო გუშინ არ გაჩენილა და მისი ათასი წლის ტრადიციული ძალა ინსტიქტიურად განაგრძობს თავის დაღებით გავლენას და მომავლის პროექციაშ თვითვე იძლევა. ჩვენი მთავრობის დაღებით ინტელექტური თანამშრომლობა ამ საქმეში ნაკლები და მკრთალია.

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსნება მეტად საყურადღებო იყო, რადგან იგი მიუდგომელ კრიტიკის პირველ ცდას წარმოადგენდა. მორიდებულის ტერმინებით ბ-ნმა გოგიჩაიშვილმა უფრო მეტი იმეტყველა, ვიდრე ეს ცხარე სიტყვით შეიძლებოდა.

აღნიშნა გადაჭარბებული სახელმწიფო ხარჯების წარმოების პრაქტიკა, აღნიშნა ხშირი უთავბოლობა და უსწორობა ანგარიშებში; ჩამოსთვალა მრავალი მილიონი, რომელიც ჩვენის ხაზინიდან ისეთის წესით გატანილა და დახარჯულა, რომ მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელი ხდება სახელმწიფო საჭიროების და ეკონომიის და წესიერების თვალსაზრისით. კონტროლიორის მოხსენებამ, რომელსაც ჩვენ სხვა დროს დაუბრუნდებით, ამ მხრივ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და ერთი რამ ყველას აფიქრებინა: ამგვარის წესით და მეთოდით საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური ცხოვრება შეუძლებელია და რომ ამასთან ერთად მისი დამოუკიდებელი ცხოვრებაც შეუძლებელი გახდება.

## აფხაზეთის სახალხო საბჭო

საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა ბედნიერი ნიშანით მიდის.

საქართველოს მტრების უკანასკნელი გააფთრებული იერიშები სწორედ იმისკენ იყვნენ მიმართული, რომ დაეცათ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ჩაეშალათ დამფუძნებელი კრება. მაგრამ 12 მარტს საქართველომ ორმაგად გაიმარჯვა.

როცა თბილისში დამფუძნებელი კრება იხსნებოდა, ჩვენი ძლევა მოსილი ჯარი იღებდა აბასთუმანს და ათავებდა ახალციხის მხარის გაწმენდას, იმედი არის, რომ ახალციხე შემდეგში აღარ გახდება ახალი ომის ასპარეზათ და ჩვენი დამკვიდრება ძველ მესხეთში ამ ჟამათ გამძლე გამტანი იქნება.

მაგრამ კიდევ არ გათავებულა საქართველოს ტერიტორიის შეკრება, ჯერ კიდევ ბევრი პროვინცია არის მოშორებული საქართველოს ცენტრს.

16 მარტს აფხაზეთში გაიხსნება სახალხო საბჭო, რომელიც იქნება არჩეული დემოკრატიული პრინციპით და ამ საბჭომ უნდა სთქვას გადაწყვეტილი სიტყვა აბხაზეთზე.

წარსული ისტორიული ცხოვრება, დღევანდელი ყოფა აბხაზეთის ხალხისა გულისხმობს, რომ აბხაზები არ აჰყვებიან შუღლის და ღალატის მთესავ ბნელ ძალებს, და მათი ორიენტაცია იქნება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ორიენტაცია.

როგორც არ უნდა შევხედოთ საკითხს, ყველაფერი წინდაწინ განსაზღვრავს საქართველოს და აბხაზეთის კავშირს.

გარდა ტომობრივი ერთობისა და ნათესაობისა, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები მოითხოვენ, რომ აბხაზეთი საქართველოსთან იყოს.

დამოუკიდებელ აფხაზეთს მოელის სასტიკი ბრძოლა მოხალისეთა რუსულ რეაქციონერ არმიასთან, პირველი ცდა, დიდ რუსეთის აღდგენისა, აფხაზეთის თავისუფლების მოსპობით გათავდება, სულ ერთია, როგორი საერთაშორისო გარანტიებიც არ უნდა მიიღოს დღეს აფხაზეთმა. მხოლოდ საქართველოსთან ერთობას შეუძლია რკინის ბჭეთ აიმართოს ყაზახების წინააღმდეგ.

უეჭველია აფხაზეთში ბევრია ფხიზელი ელემენტი, რომელიც ანგარიშს გაუწევს ამ გარემოებას და იმედია სახალხო საბჭოშიც მოხვდებიან ისეთი ხალხი, რომელსაც გათვალისწინებული აქვთ საქართველოსთან მეგობრობა.

თქმა არ უნდა, რომ მენშევიკური ადმინისტრაცია, როგორც ყველგან, აფხაზეთშიც დასტოვებდა თავის ნაკვალევს, და გულს გაუტეხდა ხალხს საქართველოზე, მაგრამ როცა ისეთი საკითხი წყდება, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, წყენა და შეცდომები დავიწყებული უნდა იყოს და მხოლოდ მომავალს უნდა გაეწიოს ანგარიში. მიღებულ ცნობებით არჩევნებში მოხალისენი მარჯვედ მუშაობდნენ და საკუთარი სიითაც გამოვიდნენ, მაგრამ აფხაზეთის შეგნებული ხალხი უარყოფს მათ პოლიტიკას და საფუძველს ჩაუყრის საქართველოს რესპუბლიკასთან კავშირს.

## გ ა თ ო მ ი

მარტის 9 საღამოს ცხრა საათზე მატარებელი, როცა ის ჩვენ საზღვარს გადასცილდა, მეორე კლასის ვაგონში უეცრად გაჩნდენ ავაზაკები და მგზავრები დაცარცვეს. შემდეგ ტორმოზის მისაცემი ნიშანი გასწყვიტეს, გააჩერებინეს მატარებელი და მიიმალენ ქობულეთიდან ერთ ვერსზე. მგზავრების ჩვენებით წაღებულია მილიონზე მეტი ფული. თავდამსხმელნი რუსულად და ქართულად ლაპარაკობდენ. ორი ჩაქურაში ყოფილა გამოწყობილი, დანარჩენი—„ტუჟურკებში“, თავზე კი ყაბალახები ეხურათ.

ახლად შემდგარ სასურსათო საბჭოს გენერალ-გუბერნატორი ფქვილით დახმარება დაპირდა. ფქვილით დატვირთული მოსული გემიდან მან უკვე გადასცა 80,000 ფუთი ფქვილი, რომელიც პურის—მცხობლებს დაურიგდება და ეღირება გირვანქა არა უძვირესი 8 აბაზისა. კომიტეტი აპირებს მცხოვრებთა ხელმეორეთ აღწერას, სულზე მიეცემა ერთი გირვანქა პური. ფქვილი მიეცემა აგრეთვე ადმინისტრატიულ საბჭოს ოლქში დასარიგებლათ.

თბილისში მიმავალ უკრაინის ელჩმა გაიარა.

გახსნა ქართული გიმნაზია.

გაიხსნა საოლქო სასამართლო.

## ამერიკის მისია

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მისსია, შემდეგი შემადგენლობით: დოქტორი მორი, საგარეო საქმეთა წარმომადგენელი, პორუჩიკი კაჩადურიანი, ლეიტენანტი კაპლიემერი და მიჩმანი კინგი. ერთი მათგანი კიდეც ჩამოვიდა თბილისში.

## ქრონიკა

— დღეს დილის 11 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის კრება. დასწრება სავალდებულოა.

— **ქალთა წარმომადგენელების ყრილობა.** დღეს, 16 მარტს დღის 12 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, საქართველოს რესპუბლიკის ქალთა წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნება.

— **მთავრობის ცნობები.** 6 მარტის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— **სურსათი სომხეთისათვის.** თანდათანობითი სურსათის დამზადების მიხედვით, მიეცეს სომხეთის რესპუბლიკას თხვნილი რაოდენობა (2000,000 ფ.) სურსათისა მაგიერი პურეული სურსათის ჩაბარების გარანტიით.

— **ს. ს. არუთინოვისათვის ფულის დაბრუნება.** წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს დაუბრუნოს ს. ს. არუთინოვს, კონფისკაცია მოხდენილი ფული, რომელიც ინახებოდა სეიფში № 855 სომხეთა ეროვნულ საბჭოს სახელზე კავკასიის ბანკში.

— **ომის ხარჯებისათვის** გადაიდვას სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 25 მილ. სამხედრო ფონდიდან 3 მილიონი მანეთი ომიანობის დროს სხვა და სხვა ხარჯების დასაფარავად.

— **შემოქმედის მონასტრის გაძარცვა.** ქყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი ატყობინებს სრულიად საქართველოს კათალიკოზს, რომ მარტის პირველ რიცხვებში გაძარცვეს მდიდარი მონასტერი გურიისა შემოქმედის მონასტერი. წაიღეს ძვირფასი საეკლესიო ნივთები, სხვათა შორის მიტრა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. რამოდენიმე მილიონ მანეთად ღირებული. დამნაშავენი დააპატიმრეს, მაგრამ ნივთები ვერ უპოვეს. მათივე სიტყვით ნივთები თათრებისათვის მიუყიდნიათ.

— **ქართველ ლტოლვილთა დასახლება.** მიწადმოქმედების მინისტრის პროექტით ქართველ ლტოლვილთა დასახლებისთვის გადაიდო ათ მილიონიან ფონდიდან 43,450 მანეთი.

— **ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი.** საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესდგა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს განურჩევლად ეროვნებისა და ქვეშევრდომობისა. გუშინ ხსენებულ კომიტეტის თავმჯდომარს ნ. ქ. ჩიკვაიძემ ამერიკის კომიტეტის თავმჯდომარე კაპ. აროლე ინახულა. აუწყა ხსენებულ კომიტეტის დაარსება. და სთხოვა რჩეულითი დახმარება. აროლემ დახმარება აღუთქვა მას და უთხრა რომ ამ კომიტეტის პირველ სხდომაზე ის თვითონ დაესწრება, ხოლო დანარჩენ სხდომებზე ყოველთვის გაგზავნის თავის წარმომადგენელთ.

— **ძარცვა.** 14 მარტს შუადღის 12 საათზე სოფ. მარტყოფში რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს რამოდენიმე გლეხი. წაიღეს 7,000 მან. მძარცველებს დაედევნენ მილიციონერები და დაიჭირეს— დუდუჩავა და კაკაურიძე. დანარჩენები გაიქცნენ.

— **მკვლელობა.** 14 მარტს საღამოს 11 საათზე, მოსკოვის ქუჩაზე 1-ლ რაიონის მილიციონერმა ვინტოვკით მოჰკლა ვინმე უცნობი.

### კრებები

დღეს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, წ. ქ. გ. საზ. ბინაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა მთავარი გამგეობის მორიგი სხდომა.

— დღეს, 16 მარტს, დღის 12 საათზე, წ. ქ. გ. საზოგადოების ბინაზე (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია ქართველ ბუნების მეტყველთა კრება. წ. ქ. გ. საზ. სამწიგნობრო სექცია სთხოვს აღნიშნული საგნის ქართველ მასწავლებელთ უსათუოდ დაესწრონ ხსენებულ კრებას.

— **ეროვნულ-დემოკრატების კრება.** დღეს, საღამოს 5 ს. სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ.) დანიშნულია ერ.-დ. ახალგაზრდების საერთო კრება. მორიგი მომხსენებელია იას. ჯავახიშვილი. დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, კვირას, 16 მარტს დანიშნულია ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება. კრების საგანია უნივერსიტეტის თბილისიდან გადატანის საკითხი.

— ქალაქთა კავშირის წარმომადგენლების ყრილობა გაიხსნება დღეს, 16 მარტს, დილის 12 საათზე, თბილისის თვითმართველობის შენობაში.

### სამხატვრო ქრონიკა.

იბეჭდება და ერთი კვირის განმავლობაში გამოვა ქ. ქუთაისში მდიდრულად დასურათებული ხელოვნების ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“.

— **სალიტერატურო გასამართლება.** ხვალ, 17 მარტს, ქართულ კლუბის თეატრში მოხდება გასამართლება-დისპუტი: „სომხეთი და საქართველო“. ბრალმდებელნი: ნაფ. ვიქ. ჭიაბრიშვილი, ამხ. ი. იმედაშვილი. დამცველებად: არ. ზურაბოვი და ივანიანი ნაფიც მსაჯულებად მოწვეულ არიან ქართველ-სომეხთა საზოგადო მოღვაწენი და მწერლები. სიტყვები როგორც ქართულ ენაზე ისე უცხო ენაზედაც აქნება წარმოთქმული.

— **კონცერტი.** დღეს, სახალხო სახლში ქართული სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს მე-2 სახალხო კონცერტს ცოცხალ სურათებით. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ნიჭიერი მოწაფენი ქართულ სამუსიკო სკოლისა: სიმღერა, სკრიპკა, ვიოლონჩელი და ქართული პირველი ტრიო.

— **მწერალმა დავით კასრაძემ** დასწერა ისტორიული რომანი „სულჯი“ სიუჟეტი აღებულია 64 წ. ქრისტეს დაბადებამდე (პომპეუსის შემოსევის ეპოქა).

# დამფუძნებელი კრება

## მეორე სხდომა. 14 მარტი.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე მდივანი გ. ფაღავა.

დეპუტატების სკამებზედ, დამფუძნებელი კრების ყველა თბილისში მყოფი წევრებია. ქანდარა სავსეა დამსწრე საზოგადოებით. დიპლომატიური კორპუსის ლოჟა ცარიელია. მთავრობის ლოჟაში, მხოლოდ გიორგი ჟურული და სახელმწიფო კონტროლიორი ფილიპე გოგიჩაიშვილი მოსჩანან.

დეპუტატების სკამებზედ არიან მინისტრები: ე. გეგეჭკორი, შალვა მესხიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ნოე რამიშვილი.

სხდომა ნაშუადღევის 12 ს. და 15 წუთზე იხსნება.

### დღის წესრიგი.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე აცხადებს, რომ დღის წესრიგში მოხსენებულია, პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები, მთავრობის მოხსენება და სამანდატო კომისიის არჩევნები.

### დამფუძნებელი კრების მდივანი.

სოც.-დემოკრატიული ფრაქციას შემოაქვს წინადადება, რომ დღეს მოხდეს არჩევნები მხოლოდ მდივნისა, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრთა არჩევნები კი გადაიდოს, რომ ფრაქციები ერთმანეთში შეთანხმდენ.

წინადადება მიღებულ იქმნა.

დამფუძნებელი კრების მდივნათ, ერთხმად არჩეულ იქმნა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის კანდიდატი კონსტანტინე ჯაფარიძე.

### მთავრობის გად დ ომა

სიტყვას იღებს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელსაც დამფუძნებელი კრება ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

### მთავრობის განცხადება

**ნოე ჟორდანია.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დაბლა თავს გიკრავთ, გისურვებთ კეთილ ბრძანებას და თან გთხოვებათ.

მთავრობამ მიაღწია ერთ თავის ძირითად მიზანს, მოიწვია საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი. შეჰყარა დამფუძნებელი კრება და აი ეხლა მას შეუძლია თქვენს წინაშე განიმეოროს სიტყვანი მოხუცი მიმრქმელი სიმეონისა.

მაგრამ სანამ დავტოვებდეთ ჩვენს პოსტს, სანამ გადავიქცეოდეთ ერთ თქვენთაგანათ და მანდ თქვენს შორის ჩავჯდებოდეთ, მანამდის საჭიროთ მიგვაჩნია დამფუძნებელი კრება შევიყვანოთ სახელმწიფო საქმეთა მდგომარეობაში, გავაცნოთ რა იყო მთავრობა, საიდან მოდიოდა და საითკენ მიდიოდა ის.

საქართველოს მთავრობა არსებობს დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისა. ხოლო ეს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოახვიეს საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზე გავლენით, მისი საგარეო საქმეთა მსვლელობის პროცესში. ერთი მხრით რუსეთის ჩვენი ქვეყნიდან წასვლა, მეორე მხრით ოსმალეთის მოსვლა—აი ამ ორმა ისტორიულმა მოვლენამ დაბადა ჩვენი დამოუკიდებლობა როგორც აუცილებელი საშუალება ამ ქარტეხილში თავის გადარჩენის და ისტორიული წარღვნისაგან თავის დახწევის.

მთავრობის წინაშე იდგა ერთი მთავარი მიზანი, რომლის მიღწევისათვის მას უნდა შეეწირა მთელი თავისი ძალღონე, მას ცხოვრებამ დაუყენა ერთი ამოცანა, ერთი დილემა და ეს დილემაა ის, თუ რა გზით შევძლებთ ამ პატარა ერის მისი პატარა საშუალებით აოხრებისაგან გადარჩენას და მის კულტურულ და ფიზიკურ არსებობის შერჩენამ.

ჩვენ დიდი რუსეთის ფრთებს-ქვეშ შეფარებული თავის მოვლას და ბატონობას გადაჩვეული მოულოდნელად დავრჩით ჩვენი თავის ამარად და აი ამ გარემოებამ უკარნახა მთავრობის მოქმედებას გეზი, მოწოდების გეგმა.

საგარეო საქმეთა მსვლელობამ მისცა დასაბამი საქართველოს მთავრობას და შინაარსი მის მოღვაწეობას. და ჩვენ დღეს თამამათ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ისტორიული დანიშნულება მთავრობამ გაამართლა, მსოფლიო ომი დასრულდა ისე რომ საქართველო უვნებლათ გამოვიდა მსოფლიო ცეცხლის რკალიდან, ხოლო დიდი რევოლიუცია სრულდება ისე, რომ საქართველომ თავი დააღწია როგორც ანარქიას, ისე რევოლიუციის მონაპოვართა დაკარგვას.

მაშასადამე ჩვენ გვაქვს დღეს სამგვარი ნაყოფი:

საგარეო მყუდროება,

საშინაო მყუდროება,

რევოლიუციის ყველა მონაპოვარი.

არც ერთი დამფუძნებელი კრება არ შეყრილა არსად ასეთ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში, ყველა იძულებული იყო ეს სამივე ნაყოფი თვით მოეპოვებია, თვით ებრძოლა მათვის და ისე განეხორციელებია.

ჩვენ დამფუძნებელ კრებას ეს დახვდა მზა-მზარეული და მას დარჩენია მხოლოდ ამ ნაყოფის განვითარებისათვის შესაფერი პოლიტიკური და იურიდიული კალაპოტის შექმნა და მუდმივი საგარეო მყუდროების დამკვიდრება. რანაირად მოხდა ეს? როგორ მივაღწიეთ ამ მიზანს?

მთავრობა იყო იმ აზრის, რომ საგარეო სიმტკიცეს მოგვცემს მხოლოდ შინაური სიმტკიცე. გარედან მოსულ მტერ-მოყვარეთ გაუმაგრდებით იმდენათ, რამდენათ ჩვენ შინ შევსძლებთ ერთი დიდი ფრონტის შექმნას და მასზე შეურყევლათ დაყრდნობას.

ამ ფრონტის შექმნა კი შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის მონაპოვართა ნიადაგზე, ხალხის დარაზმვა დემოკრატიული დროშის გარეშემო.

დროშა რევოლიუციის და დემოკრატიის გახდა დროშათ ჩვენი შინაური ერთობის, ჩვენი ნაციონალური სიმტკიცის საგარეო გაჭირვებიდან თავის გადარჩენას, აი ეს დროშა გახდა მთავრობის დროშათ და მას ვემსახურებით.

ჩვენ არ წამოგვიყენებია არც ერთი ასეთი ლოზუნგი, არ მიგვიღია არც ერთი ისეთი კანონი თუ განკარგულება, რომელიც მოგვაშორებდა ერის სასიცოცხლო ელემენტებს და მათ მაგიერ შეგვმატებოდა უსიცოცხლო და დრომოჭმულ წრეებს. ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ უარყო, უარვყავით ჩვენც, ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ სასიცოცხლოთ მოიწვია—მას ჩავეჭიდეთ ჩვენც და მათგან შევქმენით ერთი მტკიცე რევოლიუციონი და სახელმწიფო ძალა.

პირველათ ჩვენში შეიქნა მთავრობა, რომლის გარშემო შემოკრება ყველა დემოკრატიული და რევოლიუციური ორგანიზაცია, მართლა მთავრობა, რომელსაც უპროტესტოთ ემორჩილება მთელი დემოკრატია, მთელი ერი. ასეთი მთავრობა ჯერაც არ შექნილა რუსეთის არც ერთ კუთხეში, არც ერთ ერში, ეს იქ მომავლის საქმეა და ახლა, როგორიც უნდა იყოს ეს მთავრობა, ვინც უნდა შედიოდეს შიგ—ეს ძალა მას ექნება, მხოლოდ ერთი პირობაც კი—ის არ უნდა გადასცდეს დემოკრატიის, რევოლიუციის ნიადაგს. ამ პირობის გარეშე ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს, მის გარეშე იწყება ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის შავი უფსკრული, რაიცა თან ჩაიტანს დამოუკიდებლობას.

აი ასეთია ის საერთო პოლიტიკური კალაპოტი, რომელშიაც მოძრაობდა, მოქმედებდა და თავის მიზნისაკენ მიდიოდა მთავრობა და მასთან ერთად მისი წარმომშობი პარლამენტი.

ეს ორი ორგანო, ერთი კანონმდებლობით, მეორე მართველობით ხელიხელ ჩაკრით მოღვაწეობდენ და ერთხელაც მათ შორის არ ჩამოვარდნილა კონფლიქტი. ამიტომ ჩვენ არ გაგვიცვლია ეგრეთ წოდებული კაბინეტის კრიზისები.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საერთო პრინციპებს—ჩვენ ვატარებდით ცხოვრებაში არა მის ქადაგებით და სხვა იდეიური საშუალებით, არამედ კონკრეტიული ზომებით, სხვადასხვა რეფორმებით. ამ ზომებთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს თავდაცვის ზომებს—ე. ი. შეიარაღებულ ძალებს და დიპლომატიას.

პირველი განიყოფება ომით—გვარდია და მუდმივი ჯარი. ახალია გვარდია, ძველია მუდმივი ჯარი და აი ამ მათი თვისებებიდან წარმოსდგა მათი ღირსება-ნაკლულევანება. გვარდია შეიქნა რევოლიუციურ ტალღებში საუკეთესო მოწინავე ელემენტებისაგან და ეს ინსტიტუტი ჩვენ დავაკანონეთ. ბევრი იყო მისი მოწინააღმდეგე, მარა მისმა საქმეებმა ახლა თვით ურწმუნონიც კი დაარწმუნა მის აუცილებლობასა და დიდად სახელმწიფო სარგებლობაში.

გაცილებით მეტი ყურადღება იყო მიქცეული მუდმივი ჯარისაკენ, მარა აქ ჩვენმა ცდამ ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი. ამის [illegible] კვირველია, ოთხი წლის ომი, ყაზარმა, ხალხს შესძულდა და ვეჭვობ არა თუ ჩვენში, არამედ ევროპაშიაც შესაძლებელი გახდეს საკმაო მუდმივი ჯარის ყოლა და მისი დიდხანს დამაგრება. ჩვენ ამ მხრით გვმართებს რეფორმის მოხდენა, დროისათვის ანგარიშის გაწევა, მარა ერთი კი მაინც ფაქტია—ჩვენი შეიარაღებული ძალის საშუალებით ჩვენ შევირჩინეთ ჩვენი საშინაო და საგარეო მყუდროება. ჯარი და გვარდია გაჭირების რდოს თავის თავის სიმაღლეზე იდგენ და მტერთ მხნეთ ებრძოდენ.

რასაკვირველია, ამას მარტო ხმლით ვერ შევსძლებდით, რომ აქ დიპლომატიაც არ მოგვშველებოდა, და თუ პატარა რესპუბლიკების ძალებს ჩვენი ძალითვე გაუსწორდებოდით, დიდ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების დაჭერა მხოლოდ დიპლომატიური გზით შეგვეძლო და ჩვენც სავსებით ვისარგებლეთ ამით. მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილება გვაქვს დელეგაცია საზავო კონგრესზე გავგზავნეთ და ჩვენ ეჭვიც არ შეგვდის იმაში, რომ ჩვენ ხალხთა ლიგაში შევალთ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

მეზობელ რესპუბლიკებთან მეგობრული დამოკიდებულებაა, სომხეთთან დიპლომატიური კავშირი აღდგენილია, გადადგმულია ნაბიჯი მათთან უფრო მჭიდროთ დაკავშირებისა.

ყველა ეს მოითხოვდა ხარჯებს, ერთობ დიდ ხარჯებს და თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას დღიდან ბოლშევიკების გადატრიალებისა, 1917 წ. ოქტომბრიდან, ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან—აღვილათ წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსიურ გაჭირვებას, ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ—ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავათ ამისა დღემდე სული მაინც მივიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ ავვილია. მართალია შემოსავლის წყარო ფინანსიური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მარა ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვქონდა. ამას მოყვა ფულის კურსის დაცემა, ე. ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტი საშინაო სესხია, მარა საგარეო სესხი ყველა ამ ვნებას მოგვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოვალე გავხდებოდით. ამავე დროს მთავრობა ღებულობს ყოველ ღონეს მოეწყო გადასახადების ახალი სისტემა, ამკრეფი აპარატი, ახალი დამოენები, და სხ. და სხ. ყველა ამ ზომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ შვიდ თვეს მოგვცა 69,044,000 მ. თუ მას რკინის გზის შემოსავალ 27,114,000 მ. მიუმატებთ. გამოვა რომ ხაზინას შემოსავალი პირველ იანვრამდის ყოფილა სულ 36,158,000 მ. ხოლო გასავალი კი იყო 342,244,000 მ. დეფიციტია 256,086,000 მ. რაიცა ერთი ფორმა ბონების გამოშვებაა.

იმავე ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობა უდრიდა: შემოვიტანეთ უცხოეთიდან 140,929,260 მან., ხოლო გავიტანეთ 87,494,105 მან. მაშასადამე ჯამი ჩვენი საგარეო ალებმიცემობისა გასული წლის უკანასკნელ ექვს თვეს უდრიდა 228,343,336 მან. შემოზიდვა აღემატება გაზიდვას 53,435,095 მან., რაიცა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვსაჭიროებთ უფრო პურს და შაქარს. მთავარი ვაჭრობა გვქონებია უკრაინასთან— უდრის 110 მილიონ, შემდეგ შედის რუსეთი 50 მილიონი, ოსმალეთი 32 მილ., ადერბეიჯანი 6 მილ., სომხეთი მილიონი, დანარჩენები 56 მილ.

მრეწველობის მხრივ თითქმის არაფერი ახალი არ გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში, თუ სახეში არ მივიღებთ ტყიბულის ქვა-ნახშირის დამუშავებას რკინის გზის საჭიროებისათვის.

როგორც ხედავთ, ვაჭრობა, მრეწველობა და გადასახადთა სისტემა ჯერ კიდევ არ დგას იმ დონეზე, რომ სახელმწიფოს დეფიციტი ამ საშუალებიდან დავვეფარა, მართალია, გვაქვს ერთი დიდი დარგი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, მარა ჯერ-ჯერობით კი ეს საქმეც ვერ იძლევა საჭირო შემოსავალს. მე მოგახსენებთ სახელმწიფო ქონებაზე აგრარული რეფორმის წყალობით სახელმწიფოს ხელშია დღეს დაგროვილი ორ-მილიონ დესეტინამდე ტყე, ნახევარი მილიონამდე სახნავი მიწები, რვაას-ათასამდე საძოვარი, კურორტები თავის სასახლეებით, მადნეული წყლები, მადნები და სხვ. მაგრამ ყველა ეს როგორც ახალი მიღებული სა-

...როებს შესაფერათ მოწყობას, დაყე... ბას, შესაფერ სამეურნეო და საექ... ლოატაციო აპარატების შექმნას, ...აიც დიდ ხარჯებს ითხოვს. უწყების ...რაუდით წელს ეს ქონება მოგვცემს ...0 მილიონ მანეთს. ხოლო დაიხარ... ...ება 71 მილიონამდის. აქ რასაკვირ... ...ელია, ჩათვლილი არ არის სახნავი ...იწების გადაცემა გლეხებზე კერძო ...კუთრებათ თანახმათ პარლამენტის ...დგენილებისა, საიდანაც მოველით ...რა-ნაკლებ ორასი მილიონი მანეთი... ...ა, რაც რასაკვირველია, ჩვენს ფინან... ...ებს გააუმჯობესებს დროებით. მარა ...რ მოსპობს დეფიციტს.

...როგორც ხედავთ, მთავარი ძარღვს ...ვენი სახელმწიფო მოთხოვნილებისა, ...რდა თავის დაცვისა გარეშე და შინ... ...ურ მტერთაგან, არის ფინანსიური ...დგომარეობა, რის გამოკეთება საბო... ...ოოთ დაგვაყენებს მტკიცე, შეურყე... ...ლ საფუძველზე. ჩვეულებრივათ, სა... ...ლმწიფო გასავალი იფარება უმთავ... ...ესათ გადასახადებით; სახელმწიფოს ...ენების პროცესში გადასახადის აკ... ...ეფა ძნელდება, ვინაიდან ადმინის... ...რატიული აპარატები დარღვეულია, ...ონებრივი მდგომარეობა არეული და ...ამოურკვეველია, არა თუ აკრეფა, ...საჭირია იმის თქმა, თუ ვის უნდა ...ადვა გადასახადი, ვის ხელშია და... ...ოვილი გადასახადის საგანი—ქონე... ...ა. დღეს, ამ სპეკულიაციის ხანაში, ...ელია ქონების კადასტრის შედგენა, ...ნაიდან დღევანდელი ღარიბი, ხვალ ...ებ მდიდარი ხდება, ხოლო დღევან... ...ელი მდიდარი, ხვალ ღარიბდება.

...ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას ამ... ...მებს რკინის გზა, რომელიც იძლევა ...დ დეფიციტს. ეს აიხსნება თვით ამ ...ის მუშაობის წესრიგით. ეს გზები ...ულებული იყვნენ თავისივე საშუა... ...ებით გადაეყვანა ჯერ რუსეთის ეშე... ...ონები, მერე გერმანელი და ოსმალ... ...ა ჯარები, შემდეგ კიდევ ოსმალები ...ა ბოლოს ინგლისელები. ასე თავს ...ატყდა მეტად დიდი ტვირთი და ...ველივე ეს უნდა ეზიდა არსებული ...ნიკური საშუალებით. ამით რასა... ...რველია, ეს საშუალებანი გაცვდა, ...იდგან გამოცვლა არ შეიძლება და ...ოლოდ მის შეკეთებით ვცხოვრობთ ...რდა ამისა, სათბობი მასალის თავის ...ოზე უქონლობისა, ვაგონბა-მრეწ... ...ლობის სისუსტე, საქონლის გადაზი... ...ა-გადმოზიდვის ნაკლებობა, საუკე... ...სო მუშების და მოსამსახურეთა ხში... ...ე გვარდიაში ფრონტზე გამგზავრე... ...და მუშაობას ჩამოცილება აი ყვე... ...ეს ქმნის რკინის გზათა დეფიციტს. ...ის შემოსავლის ნაკლებობას.

...როგორც ხედავთ, ჩვენი ფინანსიუ... ...ი მდგომარეობა მჭიდროდ შეკავში... ...ულია მსოფლიო ომის შედეგებთან ...ა როგორც კი საერთო ზავი დამყარ... ...ება, ცხოვრება ნორმალურ კალაპო... ...ში ჩადგება—ფინანსებიც, რასაკვირ... ...ლია, სხვა სახეს მიიღებენ და ჩვენ ...ეფიციტოდ შეგვძლება ვიცხოვ... ...ოთ, თუ კი, რასაკვირველია, შესა... ...ერი საშინაო პოლიტიკური ურთიერ... ...ობა შექმნით.

...ამ მხრით მთავრობა და პარლამენ... ...ი განუწყვეტელ მუშაობდა. ერობათა ...მოღება, ადმინისტრაციის მოწყობა. ...მრიგებელ მოსამართლეთა ინსტი... ...უტის შექმნა, სამართლის და სწავ... ...ის გაეროვნებით ხალხთან დაახლო... ...ა და სხვ. და სხვ.

...მე მინდა მივაქციო თქვენი ყურად... ...ება მთავრობის მოქმედებას შრომის ...არეში. მიუხედავად დიდი სიძვირი... ...ს გაჭირვებისა, ჩვენ თავიდან ავიცი... ...ეთ გაფიცვები. ერთად-ერთი დიდი ...ფიცვა მოხდა ტყიბულის მაღაროებ... ...ი, მარა აქ ისეთი ახირებული და ...ულებელი მოთხოვნილებანი იქნა ...მოყენებული, რომ ის მთავრობასთან ...თად დაგმო მთელმა შეკავშირებუ... ...ა მუშათა კლასმა და ასე მო... ...ინეთ მისი ლიკვიდაცია უმტ... ...ვნეულოდ. ეს აიხსნება მით, ...მ მუშათა კლასი, სრული ნდობით ...რობა მთავრობას და ის დარწმუ... ...ბულია, შრომის ინტერესს დავი... ...ავთ საწარმოვო ძალთა განვითარე... ...ს ფარგლებში. ჩვენმა შრომის სამი... ...ტრომ არა ერთი და ორი გამხა... ...ულლი გაფიცვა თავის ჩარევით ჩაა... ...ო, რაიცა ამტკიცებს იმასაც, რომ ...რონებიც საკმაოდ ნდობით ეპყრო... ...ი უწყებას. მაგრამ მიუხედავად ...ლა ამისა, მუშის ხელფასი კითხვა ...ო მთელი თავისი სიმწვავით. ქირის ...ატება არ სურს ამ კითხვას, ვინაი... ...ი ცხოვრების გაძვირება კიდევ უფ... ...მატულობს და ასე მუშა მაინც ...რევაში ვარდება. ამ კითხვის ...ესრიგება შეუძლებელია, მანამდის ...ის ეკონომიური და ფინანსიური ...დგომარეობა არ გამოკეთებულა და ...ხო მეურნეობა ნორმალურ კალა... ...ში არ ჩასდგება. ერთი მთავარი

ელემენტი ამ გამოკეთებისა არის შრომის ნაყოფის გამრავლება, შრომის განთავისუფლება. რაც მეტი ღირებულება იქნება შექმნილი, მით უფრო მეტი სიმდიდრე გროვდება, მით უფრო მეტ ღირებულებას მოვიზიდავთ გარედნიდან და ასე ავსწევთ ჩვენს ვალიუტას და ფულის კურსს. შრომის ნაყოფიერების დაეცემა ერთი მიზეზია დღევანდელი ეკონომიურად დასუსტების და მაშასადამე შრომის პირობების გაუარესებასაც. საწარმოვო ძალთა განვითარებაში დღეს ერთნაირად დაინტერესებულია სახელმწიფო, მუშა, გლეხი და მრეწველი.

აი ასეთია საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა; მე არ მოგახსენებთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს დღეიდან, ეს თქვენი და თქვენ მიერ შექმნილი მთავრობის საქმეა; მე გაგაცანით მხოლოდ არსებული მდგომარეობა, და ვამბობთ, რომ რაც შეგვეძლო—ვიმუშავეთ, რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფოს გემი მშვიდათ მოვიყვანეთ თქვენამდის, ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონამდის, აი ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადავე და გააკეთეთ ის რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, რაც დავაკელით ან რაც გამოგვრჩა. ჯერ კიდევ შორსა ვართ იმისაგან. რაც უნდა იყოს, ჯერ არ განხორციელებულა ჩვენი პოლიტიკური გეგმა; დამფუძნებელი კრება სწორეთ ამ გეგმის განსახორციელებლათაა მოწოდებული და ის არ დაიშლება მის განხორციელებამდის.

პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელ კრების მთავრობას.

**რეზოლიუცია**

**თავმჯდომარე:** თქვენ მოისმინეთ მთავრობის განცხადება. სურს თუ არა ვინმეს სიტყვა ამის შესახებ.

**რ. არსენიძე** (ს.-დ.) სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით მთავრობის განცხადება მიღებულ უნდა იქნას უკამათოდ და შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

„სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია იძლევა წინადადებას: შეწყნარებულ იქნეს განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ და დაევალოს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეების მართვა ახალ მთავრობის შედგენამდე“.

## ახალი მთავრობა

**თავმჯდომარე:** ეხლა მეორე საკითხია: მთავრობის შედგენის შესახებ; სურს თუ არა ვინმეს სიტყვა ამ საკითხის შესახებ.

### რ. არსენიძე

ეს უნდა იყოს პირველი აქტი დამფუძნებელი კრების ნამდვილი, პრაქტიკული მუშაობისა. უმთავრესი, რაც ესაჭიროება რესპუბლიკას ეს არის მართველი აპარატის მოწესრიგება.

ცნობილია, რომ რევოლიუციის ნგრევაში ყველაზედ სუსტი, სწორედ მართველი აპარატია; ამის მიზეზი კი რევოლიუციის რხევა-ქანაობაა.

ჩვენ, შესაძლოა დღეს ვერ შევქმნათ ისეთი მტკიცე და ძლიერი აპარატი, საჭიროა მიღწევა სასურველი მიზნისა. ისეთი პირები უნდა ჩავაყენოთ ჩვენ მთავრობაში, რომელთაც ენდობა დამფუძნებელი კრება და რომელნიც გაუწევენ ანგარიშს დამფუძნებელ კრებას.

როგორი უნდა იყოს ორგანიზაცია მთავრობისა? ეს მეტად რთული საკითხია და ამ საკითხს აქ ვერ გადავწყვეტთ და იგი დიდ კამათსაც გამოიწვევს. დღეს საჭიროა შედგენა მთავრობისა, რომელიც შემდეგ წარმოადგენს თავის მოსაზრებათ ორგანიზაციის შესახებ.

როგორ უნდა შევადგინოთ მთავრობა? შეიძლება ჩვენ არ გვქონდეს კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენ გვქვს საკონსტიტუციო პრაქტიკა. და ეს პრაქტიკა არის ეროვნული საბჭოსი და პარლამენტის; იყო მაგალითი, როდესაც მთავრობის შედგენა მიენდო ერთს პიროვნებას.

ისტორიაში დამფუძნებელ კრების პრაქტიკაში იყო სხვა და სხვა მაგალითები; შეიძლება ამ ისტორიულ მაგალითებსაც დავეყრდნოთ, მაგრამ სჯობს რომ მივმართოთ ადგილობრივ პრაქტიკას და ეს პრაქტიკა გახლავთ შემდეგი: არჩეულ იქმნეს ერთი პიროვნება და მას მიენდოს მთავრობის შედგენა.

ეს იქნება კოლეგია ერთფეროვანი, შეთანხმებული პიროვნული, და იდეური ერთგვარობით.

მაშასადამე, პირველი დებულება: რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად, დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთს პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე.

არის მეორე საკითხიც: ჩვენ აქამდე არ გვყავდა პრეზიდენტი, ხოლო რესპუბლიკას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი პიროვნება, გამომხატველი მისი სუვერენული უფლებისა; ეს იქნება ერთგვარი უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა.

და თუ შევათანხმებთ ამ ორ პრინციპს, ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც იქნება იმავე დროს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა.

**სოც.-ფედერ. განცხადება.**

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით შალვა ნუცუბიძე აცხადებს, რომ მისი ფრაქცია კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

**სოციალ-დემოკრატების წინადადება.**

თავმჯდომარე აცხადებს რომ შემოსულია მხოლოდ ერთი წინადადება სოციალ-დემოკრ. ფრაქციისა, რომ: „რესპუბლიკის მთავრობის შესადგენათ დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე.

მთავრობის თავმჯდომარე არის იმავე დროს, უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“.

### გიორგი გვაზავა (ე.-დემ.)

ამ წინადადების მეორე ნაწილი, დღეს სრულებით არ უნდა იქნეს დასმული; იქ ლაპარაკია ისეთს საკითხზედ, რომელმაც შესაძლოა ძალიან დიდი დავა გამოიწვიოს. ეს არის ძირითადი საკითხი კონსტიტუციისა და საჭიროა მისი არსებითი განხილვა.

პირველ წინადადებას, ჩვენი ფრაქცია ეთანხმება; მეორე ნაწილი კი, უსათუოდ მოხსნილი უნდა იქმნეს.

### ივანე გობეჩია (ს. რევ.)

სოც.-რევ. სახელით აცხადებს, რომ მთავრობის არჩევა არამც თუ შესაძლოა, აუცილებელიც არის, მაგრამ წინადადების მეორე ნაწილი უსათუოდ მოხსნილი უნდა იქმნეს.

### პავლე საყვარელიძე (ს.-დ.).

ბატონებო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ბ-ნმა გვაზავამ განაცხადა რომ მთავრობის თავმჯდომარის აღჭურვა წარმომადგენლობითი უფლებებით, კონსტიტუციის ძირითადი კითხვაა და ამიტომ შეუძლებელია მისი ამ ჟამად გარდაწყვეტაო; მაგრამ განა მთავრობის შედგენაც იგივე საკონსტიტუციო კითხვა არ არის? არ მესმის ბ-ნ გობეჩიას განცხადებაც? განა პატივცემული ნოე ჟორდანია აქამდე ჩვენი პრეზიდენტი და წარმომადგენელი არ არის?

შემდეგ, როდესაც კონსტიტუციას განვიხილავთ კომისიაში, განა არ იქნება შესაძლებელი ამა თუ იმ კანონის დაკანონება?

ამ ჟამად კი აუცილებლად საჭიროა, როგორც საშინაო, ისე საქმეებისათვის, რომ იყოს ისეთი პირი, რომელიც აღჭურვილი იქნება დამფუძნებელი კრების მიერ სრულის უფლებებით.

### შ. მესხიშვილი (ს. ფ.).

წინააღმდეგია მთავრობის თავმჯდომარის, საპრეზიდენტო უფლებებით აღჭურვისა.

### რ. არსენიძე.

მე გამიკვირდა ის კამათი, რომელიც აქ ატყდა სრულებით უდაო საკითხის გარშემო.

სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი; ჩვენ შეგვიძლია ეს წარმომადგენლობა მივანდოთ ან მთავრობას, ან ერთს პირს.

პრაქტიკამ გვარგუნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არც ერთი სამინისტროს კრიზისი არ ყოფილა.

მთავრობის თავმჯდომარე ფაქტიურად ახორციელებს საგანგებო უფლებებს და ეს უფლებები გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მინიჭებული იქნება თვით დამფუძნებელი კრების მიერ.

### კენჭის ყრა

**წინადადების პირველი ნაწილი**

თავმჯდომარე კენჭს უყრის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადების პირველ ნაწილს, რომ „რესპუბლიკის მთავრობის შესადგენათ, დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე“.

წინადადება დამფუძნებელი კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

**წინადადების მეორე ნაწილი**

თავმჯდომარე კენჭს უყრის მეორე ნაწილს რომ, „მთავრობის თავმჯდომარე არის იმავე დროს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“.

ამ წინადადების წინააღმდეგ ხმას აძლევენ ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და სოც.-რევოლ. წინადადება მიღებულ იქმნა სოციალ-დემოკრატების ხმათა უმრავლესობით.

**გ. გვაზავას შესწორება**

გიორგი გვაზავას შეაქვს შესწორება, რომ სიტყვა უმაღლესი ამოშლილ იქნეს და დარჩეს „რესპუბლიკის წარმომადგენელი“.

პ. საყვარელიძე ლაპარაკობს ამ შესწორების წინააღმდეგ.

კენჭის ყრით, სოციალ-დემოკრატების ხმათა უმრავლესობით, წინააღმდეგ ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ-რევოლ. გ. გვაზავას წინადადება უარყოფილ იქმნა.

თავმჯდომარე კენჭს უყრის მთელს რეზოლუციას, რომლის წინააღმდეგ ხმას არავინ არ აძლევს, მხოლოდ თავს იკავებენ სოც.-ფედ. და სოც.-რევოლ.

## ნოე ჟორდანია რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე—პრეზიდენტი

მთავრობის თავმჯდომარეთ, სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით რ. არსენიძე ასახელებს დამფუძნებელ კრების წევრს ნოე ჟორდანიას.

**თავმჯდომარე:** ვინ არის წინააღმდეგი, რომ დამფუძნებელი კრების წევრი ნოე ჟორდანია არჩეულ იქმნეს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეთ? არავინ! ნოე ჟორდანია არჩეულია მთავრობის თავმჯდომარეთ. (სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ფეხზედ სდგება და ხანგრძლივი ტაშით ესალმება ნოე ჟორდანიას. ეროვ.-დემოკ., სოც.-ფედ. და სოც.-რევ. თავის ადგილებზედ სხედან).

**სოც.-ფედ. განცხადება**

შალვა ნუცუბიძე აცხადებს, რომ თავმჯდომარემ ვერ შეამჩნია, რომ მის ფრაქციას ბატონ ნოე ჟორდანიასთვის ხმა არ მიუცია; სოც. ფედ. არჩევნებში თავი შეიკავა.

**სოც.-რევ. განცხადება**

ივ. გობეჩია ამბობს, რომ სხვა პირობებში, შესაძლოა ნოე ჟორდანიასთვის, როგორც მთავრობის თავმჯდომარისათვის მის ფრაქციას ხმა მიეცა, მაგრამ როდესაც მას დღეს ასახელებენ პრეზიდენტათ, სოც.-რევ. არ შეუძლიანთ მხარი დაუჭირონ, რადგან ისინი წინააღმდეგნი არიან ყოველივე „პრეზიდენტების“ და „კოროლების“. ფრაქციამ არჩევნებში თავი შეიკავა.

**სახ. კონტროლიორის მოხსენება**

არჩევნების შემდეგ წარსულ მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას კითხულობს სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი.

**კ ო მ ი ს ი ე ბ ი**

სოც.-დემოკრატების წინადადებით, ახალციხის მაზრაში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად დანიშნულ იქმნა საგანგებო კომისია შემდეგ პირებისაგან: სოც.-დემ. მემედოვი და გიზო ანჯაფარიძე, ეროვნ.-დემ. პეტრე სურგულაძე, სოც.-ფედ. სამსონ ფირცხალავა.

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქმნენ: სოც.-დემ. გ. ჟურატაძე, ი. ჰავჰანიძე, გ. ცისკარიშვილი, ერ.-დემ. ა. ასათიანი, სოც.-ფედ. ი. ბარათაშვილი და სოც.-რევ. გ. ნათაძე.

## ნინო ორბელიანისა



როგორ არა ჰყვანდა ნინო ორბელიანისა მარსელინ დებმორდ-ვალმორს საფრანგეთის პოეტ ქალს. ნაზი მაგრამ იშვიათ დიდებით განათებულს.

მას ხომ არც სენტ ბევის თქმა შეეძლო გაემეორებინა, რომ „ჩემი ხმა მევე მატირებდაო“. ის არ იყო ჩვენი არც დედა არც სხვანაირი სასწაულებრივი და აწევლებული ამორძალივით.

ნინო ორბელიანისა—არც აზროვანი მაძიებელი იყო პირველყოფილი ძალით და ახალსახეობით; მისი ლექსი არა ყოფილა ადუღებული ლექსი ქართველი ქალისა სტილის ძვირფასობით.

სიცოცხლით მან თავის სახელს გადააჭარბა და თვითონ ჰნახა თვისი ზენიტი და თვისი ღარიბი ფესკრული.

მაგრამ მისი სიტყვა არა ყოფილა არასდროს ყალბი, დიპლომატიური და წიგნი იტანჯა მის ხელში.

იგია ჩვენება თეთრსამარდიან ყამახებიდან მჭრელი მუხამბაზებით ნაწვალები და მოალერსე. მასში არის წარსული საუკუნე და რადგანაც ამ საუკუნეს ატარებდა იგი, ამისთვის უნდა მდგარიყო ლექსის ყოველნაირ კოსმეტიკისა და ინტიმობის გარეშე.

როგორ უნდა მოვთხოვოთ მას ყველაფერი: იდუმალების, დაქანება, გრძნეული ხელით გაოცნებული სიტყვა და იშვიათი სტილი? ამ ხალხს საქართველოსთვის ყველაფერს ვაპატიებთ, რადგან საქართველოზე მხრჩოლავი დარდი მათ ხელში სიტყვას მუდამ ახრჩობდა.

საქართველოს სიყვარული მასაც ათეთრებდა და ჩაეჭრა გულს დაქანებულ ჩანჩქერივით. მისი დარდი მისთვის არასდროს არ გათავებულა და ნუგეში ბოლომდე არ მიუღია. მის დასველებულ მუხამბაზებს მისთვის არაფერი მოუტანია. ბოლოს კი მთხოვრობა მოადგა კარს მაგრამ იმ მიყრუებულ თავშესაფარშიც სადაც სული დალია, უკანასკნელად თურმე ლექსზე ლაპარაკობდა.

მას უყვარდა საკუთარი ლექსი ყოველთვის სუბუქი, ძალ დაუტანებელი, ოდნავ მფეთქავი და დაბრუნებული! მე მიყვარს ეს ლექსი. რომელმაც საქართველოში ყაყლი გაათავა და თავის დღეში არ გამეორდება გოტიეს ლექსივით.

ნინო ორბელიანისა—უპიროვნოა. მისი სუსტი მელოდიები გამეორებაა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გრიგოლ ორბელიანისა ილიასი და წერეთლისა.

და მისი სუბუქი სახელიც განისვენებს ჩრდილებში ამ ზვიად რაინდების, რომელთა პოეტური სიტყვაც ყოველ-დღე ხუნდება.

ახალგაზრდობაში მისი პოეტობის სახელი იმდენად მისმა სიმღერამ არ შექმნა რამდენადაც მისმა გაუმეორებელ სილამაზემ, რომელიც თვისი სიცოცხლით მოევლინა მუხამბაზებით დატრიალებულ ქართულ სუფრას.

ნინო ორბელიანისას ბედმა მაინც პოეტური სახელი არგუნა და ამ სახელით გადის საქართველოდან. მაგრამ პოეტური ახალი საქართველო მაინც არ უფრთხილდება ამ სახელს. ეს სახელი უკანასკნელია წარსულ საუკუნის სახელებში, რომელთა შორის ყველამ სიმწარით და უსახელოთ დალია სული!

საქართველოში დღეს დატირება იგი როგორც ნაავადარი სამშობლოსთვის და მისთვის ჯვარცმული მწარე ტკივილებით.

მასთან ერთად მას იტირებს ძველი თბილისი და მასვე მოიგონებენ უდარდო საზანდრები სველი მუხამბაზებით.

გ ლეონიძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**15 მარტი**

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი,** მარტის 14. ც. ა. კ. ზ. ბ. ბიულეტენი.

**ბერლინი,** მარტის 13. სპარტაკელების უკანასკნელ გამოსვლამდე ბერლინში რამოდენიმე დღის განმავლობაში ისეთი ბრძოლები იყო, რომელსაც თავის სიძლიერით ვერ შეედრება ვერც ერთი სამოქალაქო ომი. გაფიცვა გამოაცხადეს მუშებმა კონტრ გაფიცვა გამოაცხადა ბურჟუაზიამ. რკინის გზებზე მიმოსვლის შეწყვეტის გამო ქალაქს შიმშილი მოელის. დიდი გაფიცვებია რურის რაიონში. გაზ. „ფორტუ“ მოწინავე წერილში სწერს, რომ მთავრობას ავტორიტეტი და ძალა-უფლება არა აქვს. ის ასრულებს მხოლოდ დამფუძნებელ კრების უმრავლესობის სურვილებს.

**ვილნო,** მარტის 13. დამოუკიდებელ სოც.-დემ. ყრილობის გახსნაზე ბერლინში პუდიელმა სთქვა, რომ მთელი გერმანია რევოლიუციის ქარცეცხლმა მოიცვა. დამფუძნებელ კრებას იმედი აქვს, რომ ნოსკე ჩააქრობს რევოლიუციას. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტის და ეისნერის ხსოვნას. ჰაზემ აღნიშნა, რომ შეიდემანელთა ბელადების და მასას შორი უფსკრული თანდათან ღრმავდება და საგრძნობლად იზრდება დამოუკიდებელთა პარტია, რომელიც დაიცავს საბჭოთა სისტემას. კლარა ცეტკინმა სთქვა, რომ ებერტის („ებერტ პირველის“) მთავრობამ უფრო მეტი სისხლი დაღვარა, ვიდრე ვილჰელმ მეორის მთავრობამ.

**ჟენევა,** მარ. 7. საფრანგეთის მთავრობამ ინსტრუქციები დაუგზავნა გერმანიაში დაჭერილ ადგილებში მდგარ ჯარის კომენდანტებს გაიყვანონ საფრანგეთის ჯარი იმ ადგილებიდან, სადაც ძლიერია მუშათა მოძრაობა. ყოველგვარი დამოკიდებულება საფრანგეთის სარდლობისა სპარტაკელებთან აკრძალულია. ასეთივე ინსტრუქციები დაეგზავნა ინგლისის სარდლობას.

**მოსკოვი.** მარტის 1. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო რომიდან კარდინალ გასპარ ილსენის პაპა ბენედიქტ მე-15-ის დეპეშა, სადაც უკანასკნელი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა სდევნის სამღვდელოებას, განსაკუთრებით მართლმადიდებელთ. საგარეო საქმეთა კომისარმა კარდინალ გასპარს გაუგზავნა საპასუხო რადიო, სადაც აუწყებს, რომ ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოდან ნიშნავს მას, რომ რელიგიას უყურებენ როგორც კერძო რამეს. არავინ არ დასჯილა თავის რწმენისათვის, რაც შეეხება ეკლესიის იმ წევრთ, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის, მუშების და გლეხების წინააღმდეგ შეთქმულობისთვის დაისაჯენ, საბჭოთა მთავრობამ უნდა აღნიშნოს, რომ სამღვდელოება უნდა დაემორჩილოს არსებულ კანონებს და მათ არავითარი უპირატესობა სხვებთან არ მიეცემათ.

ჩიჩერინი შემდეგს იუწყება, რომ ეკლესიის მსახურთ უნახეს დიდი სიმდიდრე, განსაკუთრებით მონასტრების, რომ ამ საერთო გაჭირვების დროს, რომელიც გამოიწვია მოკავშირეების ზომებმა და რომლის წინააღმდეგ პაპა პროტესტს არ აცხადებს, ეკლესიის მსახურებმა გადამალეს დიდძალი სურსათი, რომელიც მოაკლდა ხალხს. პაპა მოითხოვს შევცვალოთ ჩვენი მათდამი განწყობილება იმ მომენტში, როცა მუშათა და გლეხთა მთავრობამ გამოააშკარავა სამღვდელოების ცუდლუტობა. ისინი ატყუებდნენ ხალხს. როცა გაიხსნა ის კუბოები, სადაც წმინდანების, ტიხონ ზადონელის და ვორონეჟელ მიტროფანის ვითომდა უხრწნელი გვამები უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ კუბოებში ჩაეყარათ ძვლები, ქალალდები, ბამბა, ბალიშები, სილა და ქალის ჩულქებიც.

## † ნინო ორბელიანი

დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა პოეტი ქალი ნინო ორბელიანისა.

სულით ობოლმა, განაწამებ ადამიანმა განუტევა სული ერთ-ერთ თავშესაფარში, სიღარიბეში, სიდატაკეში.

არავინ არა ჰყავდა ნუგეშის მცემელი, გამამხნევებელი ძველ ქართველ დედას, ნამდვილ ქართველ ქალს, რომელიც ოდესღაც თიგული იყო ქართველ ნადიმების, ქართულ სიმხიარულის და ზეიმობის.

იქ განისმოდა მისი ლექსი, იქ ღაღადებდა სამშობლოს სიყვარულს.

ნინო სტიროდა საქართველოს დაცემას, ხოლო ხარობდა მისი აღდგენის მოლოდინით.

საყვარელ სამშობლოს მზე ბრწყინვალე ამოუვიდა. მხოლოდ მისი სხივები მის ტანჯულ სულს კი ვერა სწვდა. სამშობლოს განთიადმა დააჰკნო მისი სული, აღარ ჰქონდა გახარება და სიხარული.

მისი პირადი ცხოვრება ტანჯვა იყო. იგი ტანჯვად იქცა. და ამ ტანჯვას იქარწყლებდა სამშობლოს ძომაგლით.

უბედური! რა იცოდა რომ გედარ დასტკბებოდა სამშობლოს თავისუფლებით.

„თქვენ ქართველები კარგათ აფასებთ ადამიანს სიკვდილის შემდეგ. სიცოცხლეში კი ყურს არ უგდებთ. არაფრად აგდებთ“. უთხრა ერთხელ ქართველ მოღვაწე ადამიანს.

მართალიც იყო პოეტი ქალი. მთელი თავისი სიცოცხლე დიდ ნივთიერ გაჭირვებაში გაატარა. ხშირად ლუკმა პური ენატრებოდა, მაგრამ კალამი მუდამ ხელში ეჭირა და თავის უბედურებას ქნარზე ამღერებდა.

მისი მიმქრალი თვალები მუდამ დახუჭული იყო. ცხოველდებოდა და ნათლდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს გაუხსენებდით.

ვისთვისაც ძვირფასია ქართული ძველი პოეზია, პოეზია ვახტანგ-გრიგოლ ორბელიანების, მათთვის ძვირფასი იქნება ნინო ორბელიანის პატარა ქნარი, მისი წმინდა და მაღალი, ლამაზი სიცოცხლე.

დღეს აღარ არის ეს პოეტი ქალი, ქართველი დედა. დღეს ბევრი დაიტანებს მას, ბევრში მწარე ფიქრებს აღძრავს ნინო ორბელიანის შავბნელი ცხოვრება.

და სირცხვილი ჩვენ, რომ ღირსეული პატივი არ ვეცით უკანასკნელ სიცოცხლის წუთებში მაინც, და უბრალო სიტყვითაც არ ვანუგეშეთ.

საშინელ ტანჯვის შემდეგ მიდის საფლავში და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წაიღებს არა წყევა და კრულვას უმადურ სამშობლოსადმი, არამედ მის დარდს, ვედრებას მისი გაფურჩქვნის და აყვავების.

იქნება მაშინ, როდესაც მის სამშობლოს მდელოზე მოეფინება უკვდავი ლამაზი ყვავილები, იგრძნობს მისი გაცივებული საფლავი სიხარულს.

და ეს სიხარული იქნება მისი საუკეთესო პირველი და უკანასკნელი ჯილდო.

ვ. გარრიკი.

## ნინო ორბელიანის უკანასკნელი დღეები

ათის დღის წინედ ჩამოვედი თბილისს და მინდოდა ნახვა ნინო ორბელიანის და ძლივს ვიპოვე მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ თავშესაფარში.

პოეტი ქალი უსუგმოდ ერთ ცივ ოთახში იყო მოთავსებული. მან მწუხარებით შემომჩივლა, რომ აუტანელ გაჭირვებაში ვიმყოფებიო, ვინც მყავდა მომვლელ მზრუნველი ზოგი დამეხოცა და ზოგი შემომეფანტაო. არ მეგონა თუ ჩემი საყვარელი ქართველი საზოგადოება ასე დამივიწყებდაო, მოიგონა ჩვენი უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვა: „არ ვარგა იგი სინათლე რასაცა მოსდევს ბნელიო“.

მოიგონა აკაკის ანდერძიც ლექსად. ამ დროს შემოვიდა მოსამსახურე და ვკითხე ავადმყოფის შესახებ. მან მითხრა: ამ ორ სამ დღეში კარგად გრძნობდაო და ახლა ცუდად შეიქნაო. დღეს ერთი ჭიქა რძე და თეთრი პური მოინება მაგრამ არ მქონდა საშუალება მიმერთმიაო, მოუტანეს სოკოს წვენი, შავი პური და პირი ვერ მიაკარა. მე და ჩემთან მყოფმა დ. თარხნიშვილმა ზედამხედველის ქალს ასი მანეთი გადავეცით და ვთხოვეთ ეს ფული პოეტის საჭიროებისთვის. მოეხმარებინათ მესამე დღეს ისევ შევედი და მითხრეს: „წუხელის გარდაიცვალა და ყოვლად უპატრონოდ არის დარჩენილი, პატრონიც კი არ გამოჩენილა რომ დამარხოსო“.

კოტე აბდუშელიშვილი

## იურიდ. საზოგადოებაში

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების საბჭომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი შესახებ იმისა, თუ რა საშვალებას მიმართოს, რომ სათანადო ნიადაგზე დააყენოს ამ საზოგადოების პერიოდულ გამოცემების საქმე და დაადგინა: ეთხოვოს ბ. იუსტიციის მინისტრს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ყველა ის თანხა, რომელიც უკვე სამინისტროს განკარგულებაშია, ან მომავალში იქნება მის განკარგულებაში სპეციალური მიზნით სამინისტროს გამოცემებისათვის, გადაეცეს იურიდიულ საზოგადოებას იმ პირობით, რომ ეს თანხა იქნება სამინისტროს კონტროლის ქვეშ და ამ თანხით გამოიცემა, როგორც იურიდიულ საზოგადოების, ისე სამინისტროს ყოველგვარი წიგნები, ჟურნალები და სხვა.

თანახმად ამ თავის დადგენილებისა იურიდიული საზოგადოების საბჭო მთელი თავის შემადგენლობით წარუდგა ბ. იუსტიციის მინისტრს, რომელიც შეპირდა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე.

შესაფერისი მოხსენება სამინისტროს უკვე დაუმზადებია და ამ მოკლე ხანში წარედგინება მთავრობას.

საბჭომ განიხილა აგრეთვე საკითხი შინაგან საქმისა და იუსტიციის სამინისტროს შეერთების შესახებ და ის აზრი გამოთქვა, რომ არევ დარევა ორი სხვა და სხვა ძალა-უფლებისა აღმასრულებელ და სამოსამართლოისა ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელია ყოველი მხრით.

ამისთვის მომავალ საზოგადო კრებაზე წარდგენილ იქნება საგანგებო მოხსენება საბჭოს ერთი წევრისაგან. ამასთანავე იურიდიული საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ იურისტებს მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოთ მიმართულ მუშაობაში და ამით ხელი შეუწყონ ჯერ ახალგაზრდა საზოგადოების დამკვიდრებას.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში, რომელიც მოთავსებულია სასამართლო პალატის შენობაში დილის 11—2 საათამდე.

## კორესპონდენცია

### წერილი თიანეთიდან

1919 წლის 27 თებერვალს თიანეთის პირველ დაწყებით სკოლის შენობაში შესდგა წლიური კრება ადგილობრივ ქალთა წრის საზოგადოებისა. კრებას დაესწრო 40 ქალი.

(აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებამ გახსნა საფეიქრო სკოლა და ამ დღეებში შეუდგება კიდეც მუშაობას).

სარევიზიო კომისიამ მოახსენა საზოგადოებას ამ წრის მოქმედება და წარსულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ნაღდი ფულის ჯამი მცირე აღმოჩნდა, სულ 250 მ.

მასწავლებლად ქ-ნი ბრაგვაძისა იქმნა მიწვეული, რომელმაც ღარიბ საზოგადოებას აღუთქვა სკოლაში უსასყიდლოდ შრომა პირველ ერთ თვეს. შემდეგ კი ჯამაგირი მასწავლებელს შემოსავლის და კვალად მიეცემა. შენობაც სკოლას შესაფერის ადგილას შეურჩიეს. შემდეგ ქალებმა გაინაწილეს სოფლები, რომლებიც მათ უნდა მოიარონ და ჩვენი ჯარისთვის მოჰკრიბონ შემოწირულება. ბოლოს ძველი გამგეობის ნაცვლად ახალი გამგეობის წევრებად შემდეგი პირები არიან: მ. ფიცხელაურისა, ნინო შამანაურისა, ქ-ნი ოლღა პაპავასი, ქ-ნი ექ—ნე გოჯიაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: საყვარელა ბაკურაძე, ევა გელოვანისა და ერმონია ბასაშვილი.

ერთი წელიწადია რაც თიანეთში ქალთა წრე დაარსდა მაგრამ უსახსრობის გამო დღემდის საქმისთვის ხელი ვერ მოუკიდია. საზოგადოების უხალისობის მიზეზით კასა ცარიელი ჰქონდა აქაურ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებასაც, რომელიც თუ კიდევ სულს იდგამს ბ-ნ მიხ. ძებნიაურის წყალობით. მეტად ღარიბად არის აგრეთვე ადგილობრივი სამკითხველოც. ყველა ამ დაწესებულებათ შეეძლოთ წარმოდგენებით, სახალხო ლექციებით და სხვ. აღმოეჩინათ შემოსავლის წყარო, მაგრამ ვიმეორებ, ამისთვის საჭიროა ერთსულოვნება, საქმიანობა რაც ჩვენი საზოგადოების ინტელიგენტებში ნაკლებად არის.

ჩვენი ქალთა წრის საზოგადოებაც ჯერ-ჯერობით უსახსროდ არი, მაგრამ წლის დამლევისთვის მან მაინც სძლია დაბრკოლებანი და საფეიქრო სკოლა გახსნა, სადაც მოწაფეებს უფასოდ შეუძლიანთ შეისწავლონ ქსოვა შალეულობისა. ამ სკოლის მუშაობა ჩვენ დაბალ წრის ქალებს შეაჩვევს საზოგადოებრივ მუშაობას. ასეთია მოქმედება ამ პატარა წრისა და მას წრფელი გულით უნდა ვუსურვოთ გაორკეცებული სიმხნევე, რათა სათანადოთ გაუძლვნენ ამ საქმეს და წლის დამლევს დაგვანახონ კეთილი ნაყოფი.

სოფლელი ქალი.

## „საქართველოს დელეგაცია სტამბოლში“

სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა მთიელთა მთავრობის დელეგაციის მდივანი საზავო კონფერენციაზედ ბ-ნი ალბოგაჩი, რომელმაც „ქ. სლ.“ თანამშრომელს გადასცა, რომ ამ ჟამად სტამბოლში იმყოფებიან დონის, ყუბანის, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკები.

სტამბოლშივე იმყოფება საქართველოს დელეგაციის ნაწილი;

მოკავშირეთა სარდლობა აიმედებს მათ, რომ მოკლე ხანში გაუშვებენ პარიზში.

კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი ისე საჩქაროდ წავიდნენ, რომ მთელი ბარგის წაღებაც კი ვერ მოასწრეს. წასვლის წინ, მათ გემის ნავთსადგურიდან გასვლის წინ, მხოლოდ ნახევარი საათით ადრე მიიღეს ცნობა, რომ შეუძლიანთ წასვლა.

ბ-ნი ალბოგარი იუწყება აგრეთვე, რომ ყირიმის მთავრობის მიერ საზავო დელეგაციაზედ გაგზავნილი მაკლაკოვი, ფრანგულს გაზეთებში იწოდება, როგორც დენიკინის და კოლჩაკის მთავრობათა წარმომადგენლათ.

მაკლაკოვმა და საზონოვმა განაცხადეს პარიზში, რომ რუსეთი უნდა იქნეს აღდგენილი 1914 წლის საზღვრებში და არავითარი რესპუბლიკანი, მის ტერიტორიაზედ შექმნილნი არ უნდა არსებობდენ; მათი განცხადებით მოკავშირეებთან ერთად, რუსეთმაც უნდა აიღოს კონტრიბუცია გერმანიისადმი.

## სომხეთში

**სომხების დელეგაცია საზავო კონფერენციაზე.**

სტამბოლის სომხების გაზეთი „ჟოგოვურდი“ იუწყება, რომ საზავო კონფერენციის მიერ არჩეულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს სომხეთის დელეგაციის მოთხოვნილებათ. კომისიაში შედიან: ლეონ ბურჟუა (საფრანგეთი,) სერ ბალეტი (ინგლისი) და პოლკოვნიკი ჰაუზი (ამერიკა).

იმავე გაზეთის ცნობით საზავო კონფერენციის პლენარული სხდომა, ახლო ხანში განიხილავს სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხს.

**ყარაბახის საკითხი.**

გაზეთი „მშაკი“ 14 მარტის თარიღით იუწყება, რომ გენერალმა ტომსონმა ყარაბახიდან მიიწვია 6 მაჰმადიანი და 6 სომეხი, ყარაბახის საქმების მოსაწესრიგებლად.

## სამხრეთ-დასავლ. რესპუბლიკა

დაშნაკცაკანურ გაზეთ „აშხატოვორში,“ 14 მარტის თარიღით, მოყვანილია საყურადღებო ცნობები, ეგრედ წოდებულ ყარსის „სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკის“ შესახებ.

მთავრობის შემადგენლობა: იბრაგიმ ბეგ ანგიროვი—მთავრობის თავმჯდომარე, სპარსეთში მომქმედ ყაჩაღთა ბრბოს მეთაური. მისი მეორე ძმა, აზიზ ბეგ ქანგიროვი—შინაგან საქმეთა მინისტრი, მესამე ძმა—გასან-ხანი—სამხედრო მინისტრი, ყავა-ხანის პატრონია ყარსში. მუსტაფა—სურსათის საქმის მინისტრი—მეეტლე. ფაგრამბეგი—საგარეო საქმეთა მინისტრი. ალი-ბეგ—შინაგან საქმეთა მინისტრი.

ამ „ყაჩაღთა“ მთავრობას თოფ ქვეშ 13.000-ამდე ყავს.

მთელი მხარის მცხოვრებნი ამ „მთავრობის“ ტერორის ქვეშ იმყოფება და გადასახადს უხდის. მალე გაიხსნება ამ „სახელმწიფოს“ პარლამენტი.

ინგლისური პიკეტები სდგანან არტაანში, ოლთისში, ყარსში და სარაკამისში.

## ფრანგ და რუს ბოლშევიკების ურთიერთობა

ეხლა-ხან თბილისში მიღებული ფრანგული გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ იმ მოლაპარაკებას, რომელიც გაუმართავს რადიოს საშუალებით ფრანგ ბოლშევიკების ლიდერს ლონგეს, მოსკოვის საბჭოთა მთავრობასთან. საბჭოთა მთავრობას მიუღია მოკავშირეთაგან პრინცების კუნძულზედ მიწვევა. ვერ დაუჯერებია ამ ცნობისათვის და მიუმართავს ფრანგ-ბოლშევიკ ლონგესათვის პარიზში და უთხოვია მისთვის, რომ მუდმივი კავშირი დაეჭირა საბჭოთა მთავრობასთან და ეცნობებინა საქმის ნამდვილი ვითარება.

ლონგეს დაუყოვნებლივ უსარგებლია ამ წინადადებით და გაზეთ „პოპულერის“ რედაქციის წევრებთან მისტრალ და ვალიერთან და პარლამენტის წევრ პოლ-ფორთან ერთად წასულა საგარეო საქმეთა მინისტრ პიშონთან, რომელსაც ეს დელეგაცია მიუღია ceuai d'orsay-ში.

დელეგაციას მოუთხოვნია, რომ პიშონს ნება დაერთო პირდაპირი მავთულით დალაპარაკებოდნენ მოსკოვს და თან შემდეგი 4 კითხვა მიუციათ მინისტრისათვის:

1. მოკავშირეთა მიერ რუსეთის რევოლუციის აღიარებისაგან, გამომდინარეობს თუ არა, რომ რუსეთს უნდა მიენდოს თვით გადასწყვიტოს თავისი ბედი და მზად არიან თუ არა მოკავშირენი, რომ გამოიყვანონ რუსეთის ტერიტორიიდან თავიანთი ჯარები და შეუწყვიტონ ფინანსიური დახმარება, საბჭოთა რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს.

2. პრინცების კუნძულზედ მიწვევა მარტო ნაციონალურ სახელმწიფოებს ეხება, თუ რუსეთის ტერიტორიაზედ შექმნილ ყველა სახელმწიფოთ.

3. განიხილავს თუ არა საზავო დელეგაცია საბჭოთა მთავრობის მიერ ჯერ კიდევ დეკემბერში წარმოდგენილ საზავო პროგრამას, რომელიც ეხება მეფურ რეჟიმის შემდეგ დარჩენილ ვალის მოწესრიგებას და სხვა და სხვა კონცესიების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის საზღვრების შემოფარგვლას.

4. საზავო კონფერენციისათვის, მოკავშირეთა სახელმწიფონი უსათუოდ იცავენ იმ ადგილს, რომელიც ეხლა არის მომზადებული და სრულებით ხელსაყრელი არ არის შემდეგი მოსაზრებით: მოშორებულია ევროპის პოლიტიკურ ცენტრებისგან და უძნელებს ევროპას და ქვეყნიერობას სწრაფლ გაეცნონ ამ კონფერენციის მუშაობას.

იქნებოდა თუ არა უფრო ხელსაყრელი, რომ კონფერენცია მოწვეული ყოფილიყო ჰოლანდიაში, ან სკანდინავიაში.

მინისტრმა პიშონმა განაცხადა, რომ იგი ვერ დართავს რადიო ტელეგრაფით სარგებლობის ნებას, რადგან იგი მხოლოდ მთავრობის საჭიროებისათვის არის, ხოლო რაც შეეხება ოთხ წარმოდგენილ კითხვას, მათ იგი მოახსენებს საზავო კონფერენციას და მხოლოდ შემდეგ შეუძლია პასუხი გასცეს ლონგეს.

მეორე დღეს გაზეთ „პოპულერ“-ში დაიბეჭდა ცნობა, რომ იგივე დელეგაცია მისულა ამერიკის წარმომადგენელთან საზავო კონფერენციაზედ და იგივე თხოვნა წარუდგინა რადიო ტელეგრაფის შესახებ; ამერიკის წარმომადგენელებმა თანხმობა განაცხადეს და ამერიკის რადიო-ტელეგრაფი გადაეცა გაზეთ „პოპულერ“-ის რედაქციას.

ამგვარად სწერს „temqs“-ი, ამერიკელთა განსაკუთრებული თავაზიანობის გამო, პიშონის სურვილის წინააღმდეგ, საფრანგეთის ბოლშევიზმის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ რადიო-ტელეგრაფით ელაპარაკათ მოსკოვთან.

ამის შემდეგ ამერიკელებმა მიმართეს თხოვნით პიშონს, შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

პიშონმა, გაითვალისწინა რა, რომ მისმა სურვილმა სულერთია, მიზანს ვერ მიაღწია და ლონგეს მაინც ჩაუვარდა ხელში სხვა რადიო, ნება დართო ესარგებლა ფრანგული აპარატითაც.

დეპეშა, რომელიც ამერიკული რადიოთი იქმნა გადაცემული მოსკოვში „პოპულერ“-ის მიერ, შემდეგი შინაარსის არის: გაზეთ „პოპულერ“-ის რედაქცია, აცხადებს რა თავის მადლობას საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმულ ნდობისათვის და სხვადასხვა, — „თავის ვალად სთვლის აცნობოს ჩიჩერინს, რომ საზონოვმა, რომელიც თავის თავს ომსკისა და ეკატერინოდარის საგარეო საქმეთა მინისტრს უწოდებს ხოლო ნამდვილათ კი ყოფილი მეფის მინისტრია, განაცხადა, რომ მისი მთავრობები არ წავლენ პრინცების კუნძულზედ და ერთს მაგიდაზედ არ დასხდებიან ბოლშევიკებთან.

იდენტიური განცხადებანი წარმოადგინეს სხვა ემიგრანტების ჯგუფებთან პარიზში; ბოლოს, პრიბალტიკის და საქართველოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ პრინცების კუნძულის კონფერენცია არც მათ ეხება, რადგან ისინი სამუდამოთ გამოვიდენ რუსეთის შემადგენლობისაგან.

ფრანგული პრესსა, რომელიც შეუწყვეტლივ ცილს სწამებს ბოლშევიკების მთავრობას, ამბობს, რომ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ ხსენებულ კონფერენციაზეო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცნობები, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და რევოლუციის მტრების მიერ მიღებულ გარდაწყვეტილებათა შესახებ, საჭირო ხაზს აგალებინებთ თქვენს მომავალ მოქმედებებში.

ჩვენ გიცხადებთ, უაღრეს მწუხარებას, რომ თქვენ არ დაესწარით სოციალისტურ კონფერენციას ბერნში, სადაც მოსახერხებელი იყო კონტაქტის დამყარება საერთაშორისო პროლეტარიატთან და სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო გარდაწყვეტილებათა მიღება მომავალ საერთაშორისო, პროლეტარული რევოლუციის შესახებ.

ამ დეპეშების გამო და იმ ნებართვის გამო, რომელიც ამერიკელებმა მისცეს ფრანგ ბოლშევიკებს, საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ, მთელი ფრანგული პრესსა, დიდ გულისწყრომას და აღელვებას გამოსთქვამს.

## ჩრდილო კავკასიაში

**ჩაჩნები — მოხ. ჯარის წინააღმდეგ.**

თბილისში მიღებულია ცნობები, გროზნოს ოლქში გაიმართა ჩაჩნების დიდი ყრილობა, რომელსაც 3 ათას კაცზედ მეტი დაესწრო.

1) ყრილობამ განიხილა თანამედროვე მომენტი და დამოკიდებულება მოხალისეთა არმიასთან. ყრილობაზედ მოვიდნენ მოხალისეთა ჯარების წარმომადგენელნი და გენერალი ლიახოვი. მეორეს მხრით მოვიდა თვით მთიელთა მთავრობის თავმჯდომარე კოცევი.

2) ყრილობამ ერთხმად დაუჭირა მხარი მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას. საკითხმა „მოხალისეებთან“ დამოკიდებულების შესახებ, ცხარე კამათი გამოიწვია. ყრილობამ მიანდო მთიელთა მთავრობის თავმჯდომარეს კოცევს, განუცხადოს მოკავშირეთა სარდლობას, რომ ჩაჩნები არ იცნობენ მოხალისეთა ჯარის სარდლობისაგან დანიშნულ უფროსებს.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10. წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებ[illegible]

**თბილისსა და მცხეთის შუა**
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვ[illegible]

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

**გ. გ. მეგრაბიანც[illegible]**

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრო გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, სინჯვა და წამლობა X-ს სხივე[illegible] დიდი სალენოიდი და არსევალის [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა [illegible] ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ[illegible] უფასოთ. ყოველ დღე დილის 9 საათამდე და საღამოს 5—8 საათა[illegible] ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24[illegible]

7—92

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ბეკოლიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სი[illegible]ლისით ავადმყოფებს (914-ს და 60[illegible] შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება [illegible]ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამო[illegible] საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ[illegible] № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდა[illegible]

ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო [illegible]ლებანი. მკურნალობა ელექტრო[illegible] სიმსუქნის მკურნალობა ბერგო[illegible] აპარატით, სალსრების მკურნალ[illegible] ლინდემანის აპარატით; ფსიხოტ[illegible] პია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვ[illegible] და ხუთშაბათის საღამოს გარდა. ხეილის პროსპ. № 111. ტელეფ[illegible] 13—42.

50—2119—

**წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო**

**ვლადიმერ შატბერაშვილისა**

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

**ზომიერ ფასებში**

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

**მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114 25 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული**

**გ ა ზ ე თ ი**

**„საქართველო“**

**1919 წ. ფელეტონის გაზეთი 1919**

**გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთ[illegible]**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩ[illegible] № 5,) (ქართული თეატრ[illegible]

ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 7[illegible]

ტელეგრამისათვის: თბილისი, „საქართველო“, ტელ[illegible]ფონი № 15—73

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდ[illegible]**